ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2658264

ნომერი: AR1413031

თარიღი : 14.06.2016

გაცემის თარიღი : 17.06.2016

გაცნობის თარიღი : 17.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , III მასივი , კვარტალი III ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გობეჯიშვილი პ/ნ 62011001618
- ქ.თბილისი ჯავახეთის I შეს. კორპ 5 ბინა 32

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15/03/2016 წლის №2483144 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 14/06/2016 წელს №AR1413031 განაცხადით მომართა ლევან გობეჯიშვილმა და ამავე სამსახურის 15/03/2016 წლის

№2483144 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური ხარვეზის გასწორება მოითხოვა. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 15/03/2016 წლის №2483144 ბრძანებით ქ. თბილისში, III მასივი, კვარტალი III-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.20.022.040) შეთანმხდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 15 მარტიდან 2017 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.
ამავე სამსახურის 06/06/2016 წლის №2634578 ბრძანებით განმცხადებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და №2483144 ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებული შეცდომა გასწორდა.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 15/03/2016 წლის №2483144 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური ხარვეზია და არასწორადაა დაფიქსირებული საერთო ფართობი, რომელიც შეადგენს 3637.6 კვ.მ-ს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
სამსახურმა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საერთო ფართობის მაჩვენებელთან დაკავშირებული ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე საფუძვლიანია და ამდენად, მიზანშეწონილად მიიჩნევს მოთხოვნის დაკმაყოფილებას და მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15/03/2016 წლის №2483144 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).:3637,6; სამსახურის 15/03/2016 წლის №2483144 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 15/03/2016 წლის №2483144 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს